წელიწადი პირველი. ფასი 5 პაპ. ოთხშაბათი, 16 სექტემბერი 1915 წ. № 93

საქართველო

ხელის მოწერა და ... ...

ვიცით რამდენია საჭირო დახმარება. არ ვიცით ვინ დაგვეხმარება. (ჩვენ ყოველთვის ასე ვფიქრობთ, რომ უნდა დაგვეხმარონ, უნდა მოგვცენ, უნდა გაიგონ რა გვინდა). ეჩმიაძინიდან იწერებოდენ თითქმის ერთი თუ ორი თვის წინად დღეში 200—300 კაცი კვდებაო. ამდენი და ამდენი არის საჭირო დახმარება. ამდენი ფულით, ამდენი ხალხით. დღესაც ასეთს ცნობებს ვკითხულობთ. ე. ი. რომ დღეში 200—300 კაცამდე იხოცებიან. მატულობს ხარჯი, მატულობს ნივთიერი შევიწროება. მერე ვინ ეხმარებათ მათ?—ყველანი! ერთი და ორი, ასი და ორასი მარტო დასაფლავებას ვერ აუვიდოდნენ არა თუ მოვლა-პატრონობას და რჩენას.

ჩვენ კი არასფერს, შედარებით მათთან, არ ვაკეთებთ. ნუთუ მხოლოდ მაშინ გამოვიღებთ ყურიდან ბამბას, როცა ჩვენც დღიურად 200—300 გავწყდებით.

წერაკითხვის საზოგადოებას, თითქოს იმის მეტი დანიშნულება აღარა აქვს რა, რომ გრიგოლ ბურჭულაძე სკოლების დასათვალიერებლად და შენობის საქირავებლად აგზავნოს და ეს უპირველეს საკითხად გადააქციოს! ეთნოგრაფიულ საზოგადოებას ისე უჭირავს თავი თითქოს სამშობლო მეცნიერებისთვის სათვალყურო შესასწავლ ობექტის მეტს არას წარმოადგენდეს! კულტურული საზოგადოება გრამატიკის საუმჯობესო ფორმების ძიებაშია, სიტყვა-კაზმული საზოგადოების მოქმედება გრიშაშვილის და სხვ. ლექსების გამოცემაში გამოიხატება, თავის ვიწრო დანიშნულების ფარგალს ვერ გადასცდებიან. თითეული ქართველი კი ყივის და სწერს საჭიროებაზე, მხოლოდ ყველა ქართველები გრძნობენ საჭიროებას, მაგრამ... სხვისი, (არ ვიცი ვისი) და ერთმანეთის იმედი აქვთ.

მხოლოდ საქმით კი არას აკეთებენ! გვავიწყდება, რომ ჯერ კიდევ ძველად ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი და იგავ-არაკების ავტორი გვირჩევდა: „გაანძრიეთ ხელი და ნაპირს გახვალთო“.

დიახ, საჭიროა ყველას პრაქტიკული მოქმედება. ყველას შეუძლია დახმარება საერთო საქმისთვის და ყველასათვის არის ადგილი და საქმე სამოქმედო.

მაგრამ ამდენს უიმედობასთან ერთი უდიდესი და ღირსშესანიშნავი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ, რომელიც შეიძლება ნიმუშად მიიჩნიოს ყოველმა კუთხემ ჩვენი სამშობლოისამ თავის სამოქმედოთ. აი, ჩვენ გაზეთის მე-88 №-ში რას ვკითხულობთ ახალ ამბებში:

„კახეთის რამდენიმე სოფლის მინდობილობით პურის სასყიდლად რუსეთში იყო წასული თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე დავით პეტრეს ძე ლუკაშვილი. მას უყიდნია თერგისა და ყუბანის ოლქში და მდინარე ვოლგაზე 210.000 ფუთი ხორბალი და 117.000 ფუთი ფქვილი. თბილისში მოტანილი 1 ფუთი ხორბალი ჯდება 6—7 აბაზი, ხოლო ფქვილი ჯდება 6—8 აბაზი. ბ-ნს ლუკაშვილს ამასთანავე პირობა შეუკრავს გამყიდველებთან, რომ შედეგში რამდენსაც მოსთხოვს ფქვილს ანუ ხორბალს, ამავე პირობებით უნდა მიჰყიდონ.“

აი მისაბაძი მაგალითი.

გაჩნდით ინიციატორებო, შეადგინეთ ჯგუფები, აირჩიეთ სანდო პირები გაგზავნეთ სადაც რის შოვნაც შეიძლება და თქვენც ყველამ იშოვნეთ თავიანთთვის სარჩო...

ყოველმა თითეულმა ქართველმა ივაჭრეთ და იმოქმედეთ, შეუთანხმეთ თქვენი მოქმედება და საჭიროება მეზობლისას! ნურც ჩვენი პატივცემული საზოგადოებანი დარჩებიან გარეშე მაყურებლებად, ანგარიში გაუწიონ დღევანდელს მომენტს. ნამეტნავად წ. კ. გ. საზოგადოებამ უნდა აამოძრავოს ყველა განყოფილება, რომ ყოველ ალაგს მოქმედება გაჩაღდეს. ვგონებთ, რომ პატივცემული საზოგადოება ამით არას დაჰკარგავს, ის კი არა, უფრო დაიახლოვებს და მჭიდროდ შემოიკრებს თავის ირგვლივ მთელს ხალხს...

გ.—ზიანი.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ოსმალეთ-ავსტრია-გერმანიის ზარალი.

ფრანგული გაზეთ „ტემპს“-ის გამოანგარიშებით ომის დაწყებიდან დღემდე ავსტრია-გერმანეთ-ოსმალეთს დაჰკარგვიათ სულ ერთიანად ექვსი მილიონი ნახევარი, რომელთა შორის ერთ მილიონს შეადგენს მოკლული, დაჭრილ-დასახიჩრებული და უკვალოდ დაკარგული.

გერმანიის სესხის განაღდება.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ ორ დღით წინ, ვიდრე გერმანიის მეხუთე სესხის ვადა გათავდებოდა, გერმანიის პრესამ თავის მოქმედება გაამრავალკეცა. გერმანიის მესიმპატიე წრეებმა და გაზეთებმა შვეიცას ცნობები მისცეს, ჰინდენბურგის გენიოსური სარდლობის წყალობით რუსეთის ჯარს დიდი კატასტროფა მოელოსო. გაზეთებმა გამოაქვეყნეს გეტებორგიდან მოსული ცნობები. ცნობაა, თითქოს გერმანელებს ოთხასი ათასი რუსი ჯარისკაცი ტყვედ წაეყვანოთ. როდესაც ეს ხმები არ გამართლდა, გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს, რუსის ჯარი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდაო. ამავე დროს მოვიდა სენსაციური ამბავი, ბულგარეთმა მობილიზაცია გამოაცხადაო. ყველა ამ საშუალების წყალობითაო, ამბობს სტოკჰოლმის წყარო, გერმანიამ აღფრთოვანება შეჰქმნა და სესხის განაღდების საქმე მარჯვედ წავიდაო.

შეიარაღებული ნეიტრალიტეტი.

ეხლა ლაპარაკობენ ბულგარეთი შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს დაიცავსო. ბულგარეთი იმ ფორმ ჩადგა შეიარაღებულ ნეიტრალიტეტ ფაზაში, რომ გერმანია-ავსტრიის ჯარ ემზადება შემოტევისათვის სამხრეთის მიმართულებითო.

ახალი თვით-ამფეთქი ნივთიერება.

„სტოკჰოლმს ტაგებლატი“ იუწყება მანსბოს ქარხანაში გაიმართა ერთი, დიდი ძლიერების თვით-ამფეთქი ნივთიერების კაუზელიტის გამოცდა. შვეიცის მთავრობა დიდად დაინტერესებულა ამ გამოცდებით.

საბერძნეთში.

დანიშნულ ადგილებში დიდ-ძალი სათადარიგო ჯარისკაცი გამოცხადდა. ყველას აღფრთოვანება ემჩნევა. რამდენიმე ათასს კიდევაც ფორმის ტანისამოსი ჩაუცვამს. ამ ორ დღეში მეტი წილი სათადარიგო ჯარისკაცი რაზმში ჩადგება.

დეპუტატთა პალატა შეიკრიბება 16 სექტემბერს, რომ კენჭი უყარონ საბერძნეთის მაკედონიის ტერიტორიაზედ საალყო წესების შემოღების საკითხს. სხდომაზედ სხვა საჭირო ღონისძიებებიც იქნება განხილული და კენჭის ყრით გადაჭრილი. ეროვნულმა ბანკმა თოთხმეტი მილიონი გადასდო მიმდინარე რეკვიზიციის საჭიროებისათვის.

გემთა საზოგადოებებსა და რკინის გზებს ბრძანება მოუვიდათ შესწყვიტონ კერძო გრუზების გადაზიდვ-გადმოზიდვა.

გაზეთების მეტი წილი კმაყოფილებით შეეგება საერთო მობილიზაციას. ძირითადი კონსტიტუციის თანახმად მობილიზაციის დეკრეტი უნდა შეტანილ იქმნას დეპუტატთა პალატაში.

ათინაში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ოსმალეთ ბულგარეთის ხელშეკრულობის ის მუხლი, რომლის ძალით ოსმალეთი ვალდებულია 50,000 ჯარისკაცი საერთო მოქმედებისათვის იქ მიაშველოს ბულგარეთს, სადაც ამას მოითხოვს ბულგარეთის გენერალური შტაბი.

მობილიზაციის გამოცხადება.

სოფიაში მობილიზაციის გამოცხადების დღეს გაიმართა მანიფესტაცია. მოწაფეები გერმანიის ბაირაღებს დაატარებდენ.

ოსმალეთ-ბულგარეთის ხელშეკრულობა.

აქ სექტემბერს ალხო ყრილობის დარბაზში ბულგარეთ პრემიერ მინისტრმა რადოსლავოვმა გამართა თათბირი, ხალხის ლიბერალი წარმომადგენლებისა. თათბირს დაესწრო ყველა მინისტრი, დაესწრნენ ლიბერალები, მეხალხოსნე—ლიბერალები, პეტკოვისტები და გენადიევისტები. მინისტრ-პრეზიდენტმა ხალხის წარმომადგენლებს გააცნო ოსმალეთ-ბულგარეთის ხელშეკრულობა და აუწყა დამსწრეთ, რომ იგი ხელმოწერილია მეფისა და სულთანისაგან. ხელშეკრულობის ძალით ბულგარეთი იძენს ტუნჯის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას. სახდვარი მოყვება ტუნჯას ოდრინამდე, აქ დასავლეთისკენ შეიხვევს, ორდინის ცოტა მოშორებით საზღვარი გადასჭრის მდ. მარიცას, შემდეგ ამ მდინარიდან ძალიან-ძალიან ორი კილომეტრის სიშორეზე საზღვარი აღმოსავლეთისკენ მოიმართება. ტერიტორია დიდის ზეიმით ჩაბარდებოდა ბულგარეთს 8 სექტემბერს. 23 სექტემბერს ბულგარეთის უწყებას გადაეცემა რკინისგზის ლიანდაგი. 28 სექტემბერს ბულგარეთის ადმინისტრაცია შეუდგება დათმობილი ტერიტორიის მართვას. დათმობილი ტერიტორია უდრის თითქმის 300 ოთხკუთხ ვერსს. საგარეო პოლიტიკის შესახებ მინისტრს განუცხადებია, როგორც დღემდე დღეის იქითაც ბულგარეთი ადგია ნეიტრალობის პოლიტიკას, ოღონდ ეს ნეიტრალობა ამიერიდან შეიარაღებული იქნებაო, რადგანაც შესაძლებელია გარემოებათა ცვლილების გამო ბრძოლის ასპარეზი ბულგარეთსაც მოუახლოვდესო.

რუმინიის შესახებ მინისტრმა განაცხადა, ბულგარეთსა და რუმინიას შორის მოლაპარაკება სწარმოებსო. გერმანია-ავსტრიასა და რუმინიის შორის ატეხილი აყალ-მაყალი განელდა: რუმინია წინანდებურად ნეიტრალობას დაიცავსო.

როგორც „Rigas Jinas“ გადმოგვცემს როსიენის ერთი მცხოვრებელი დაბა ბიჟასთან გამოსხლტომია გერმანელების დარაჯებს და გამოქცეულა. გამოქცეულის სიტყვით გერმანელების მიერ დაპყრობილ ლიტვაში ცხოვრება ნელ-ნელა თავის კალაპოტში დგება. იხსნება სოფლის სკოლები და იწყება მიწების ხვნა. მოუხდენიათ საქონლის რეკვიზიცია. ყოველ სამს მცხოვრებელზე თითო ძროხა დაუტოვებიათ. მოუხდენიათ აგრდვე მოსავლის რეკვიზიცია. მცხოვრებლებისათვის მოსავლიდან ძალიან ცოტა დაუტოვებიათ, სანოვაგის მისაღებად განსაკუთრებული მარკიანი ჩეკის წიგნები შემოუღიათ.

პრუსიიდან გერმანელებს ლიტვაში რკინის გზა გაჰყავთ. რკინის გზა პარალელურად გაჰყვება ტაეროგენის შოსეს და იურბიერგზე გაივლის. გზა კიდეც კელმამდე გაიყვანეთებიათ, აქედან შემდეგ შაველის მხრ კენ გაიყვანენ.

„Daily News“ ცნობით, გერმანიაში ეხლა ახალ ჯურის ცეპელინებსა სინჯავენ. თურმე ახალი ცეპელინი სუმბუქად და სწრაფად მოძრაობს და უფრო მოქნილია და ლამაზი, სანამ ძველი ჯურის ცეპელინი. სიგარის სახის მაგიერ ცეპელინისთვის, თევზის სახე მიუციათ, ცეპელინის ლითონის ჩონჩხი კანიდან აღარ გამოსჩანს. კანს მოვერცხლო რუხი ფერი აქვს. მზე არა ბრჭყვინავს, მობურულ დღეში კიდევ სრულიად არ ერჩევა ღრუბლიან ცასა.

რომი და სოფია.

რომის პოლიტიკურ წრეებს არ სჯერათ ბულგარეთის ელჩის სტონჩევის განცხადება, რომელიც იტალიურ გაზეთებში იყო დასტამბული თითქოს ბულგარეთის მობილიზაცია საომარ სამზადისს არ მოასწავებდეს.

ბულგარეთის პრესა და მობილიზაცია.

ყველა გაზეთი აღნიშნავს, ბულგარეთს აგრესიული განზრახვა გულში არ უდევსო, თუმცა ყველას გამოუკლებლივ მდგომარეობა მეტად საშიშად მიაჩნია. ოფიციოზი „ნაროდნი პრავა“ ამბობს: ევროპის ცეცხლი ბულგარეთს მიუახლოვდა და აუცილებელი გაჰხდა ბულგარეთის ჯარის მობილიზაცია. ბულგარეთი თავის ჯარს ამობილებს რათა მზად დაუხვდეს ყოველგვარ შემთხვევას, რომ თავიდან აიცდინოს ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათი და თანაც დაიბრუნოს და მიიღოს რაც მისთვის უაღრესად საჭიროა. მეორე ოფიციოზი „Echo de Bulgarie“ ამბობს: ბულგარეთი დიდად მოწადინებულია რომ მშვიდობიანობა დაცულ იქმნას, მაგრამ ამავე დროს გადაწყვეტილი აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, თავისი მოთხოვნანი მიაღებინოს ვისაც ჯერ არს, ის მოთხოვნანი, რომელთა კანონიერება ყველამ იცნო. ჯერ კიდევ დრო არის, მშვიდობიანობა და სამართლიანობა ერთად სძოვდესო. „მირი“ სწერს: მობილიზაციის განსაკუთრებული მიზანია დაიცვას ბულგარეთის ინტერესი ბალკანეთის საკითხის ლიკვიდაციის დროსაო“. დემოკრატების ორგანო „პრეპორეცი“ ამბობს: „ბულგარეთმა მიმართა შეიარაღებულ ნეიტრალობას, რომელიც დროს უცდის. სახელმწიფონი გაიგებენ თუ არა ამას და უზრუნველ ყოფს თუ არა ბულგარიის ინტერესებს?

მისვლა-მოსვლის შეწყვეტა.

ბულგარეთ-რუმინთა შორის შეწყდა მისვლა-მოსვლა. ბულგარეთიდან ცნობები ძალიან მძიმე-მძიმედ მოდის.

პოლიტიკურ მოღვაწეთა კრება

ბუქარესტში კრება ჰქონდათ 52 მოღვაწე-პარლამენტარებს. ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, სადაც სხვათაშორის მთავრობას სთხოვეს ბოლო მოუღოს ქვეყნის დამამცირებელ და პოლიტიკურ ატმოსფერის მ[illegible] ჯერ[illegible]ის სისტემას, რ[illegible] წარმოებენ. რეზოლიუცია მოითხოვს აგრედვე რუმინიის სამხედრო ძალთა მობილიზაციას რუმინიის დასაცაველად მომდგარ ხიფათისგან. რეზოლიუცია წარედგინება პრემიერ მინისტრს ბრატიანუს პარლამენტის დელეგაციის მიერ, სადაც შევლენ ყველა პარტიის წარმომადგენლები.

ომის დეპეშები

თბილისი, 12 სექტემბერი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 10 სექტემბერს რუსის მზვერავი რაზმები შეეჯახნენ ოსმალთა რაზმებს ოლთისის მიმართულებით, თევის, ხისტასპორის და არქინსის რაიონებში. მელიაზგერთის მიმართულებით სოფ. ფენეკთან რუსის ცხენოსანთა რაზმი ეკვეთა ჰამიდიელებს. ვანის მიმართულებით, ანგას აღმოსავლეთით შეტაკება მოუვიდათ მოპირდაპირეთა მოწინავე ძალებს დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი. 14 სექტემბერი. კავკასიის შტაბის ჯარისაგან. 12 სექტემბერს ოლთისის მიმართულებით, ხისტაპორის რაიონში რუს მზვერავებმა ოსმალებს უკუ დაახვევინეს. ხოლო ტევისა და იშხანის რაიონში ოსმალებმა რუსებზე იერიშები მოიტანეს, იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარეს. სევრიჩაის რაიონში რუსი მზვერავები წააწყდნენ ოსმალთა მცირე გუნდს. ვინ აკუწეს და ვინ ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 12 სექტ. ოფიციალი. რიგის რაიონში ალაგ-ალაგ საარტილერიო ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. გერმანელები აქაც ხმარობენ მახრჩობელა ბოლს. მთელს ფრონტზე მკაცრი ბრძოლაა გაჩაღებული, დვინასა და დრისვიატის ტბის შუა. არტილერიის ქარიშხალური ცეცხლის საფარველ ქვეშ გერმანელებმა ზედიზედ ფიცხელი იერიშა მოიტანეს რუსებზე. რუსებმა ყველა იერიში მოიგერიეს. ზოგ-ზოგი თხრილი რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა. დვინის შოსეზე შემოტევის დროს ლოვკერის ტბის რაიონში ნოვოალექსანდროვსკთან გერმანელებმა რუსების თხრილები დაიჭირეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ რუსების მიერ უკუქცეულ იქმნენ. ძალის მოკრების შემდეგ, გერმანელები კვლავ წამოვიდნენ იერიშით, მაგრამ საარტილერიო ცეცხლის, თოფისა და ტყვიის მტყორცნელის სროლის ხმა შეწყობილი მუშაობით რუსებმა მოახერხეს მათი შეჩერება და უკუქცევა. სულის მოთქმის შემდეგ, გერმანელები იმავე მიმართულებით კიდევ ორგზობა წამოვიდნენ. საარტილერიო ცეცხლი უკიდურეს სიმკაცრემდე გააძლიერეს, მაგრამ რუსებმა ეს იერიშებიც მოიგერიეს. ადგილ-ადგილ გერმანელებმა ვერ გაუძლეს რუსების კონტრ-შემოტევას და უწესოდ გაიქცა-გამოიქცენ. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ის დიდი მსხვერპლი, რომელიც ბრძოლის სიმკაცრემ გამოიწვია, მოწმობს რუსის ჯარის ილაჯ-გაუწყვეტლობას. რუსის ჯარის ერთი ნაწილი, კონტრ-იერიშით გატაცებული, გარშემორტყმულ იქმნა მტრის მიერ, მაგრამ ეს წრე ხიშტებით გაარღვიეს და დანარჩენებს შეუერთდნენ. არსებითი არა მომხდარა-რა ოშმიანიდან მდ. პრიპეტამდე. ბარანოვიჩისა და ნოვოგრუდსკის რაიონში კერძო-კერძო შეტაკება მოხდა. დამატებითი ცნობების მიხედვით, ლოგიშინთან ბრძოლაში გერმანელთა 21 კორპუსს დიდი ზარალი მოსვლია. უწესო უკუქცევის დროს, ამ კორპუსიდან რუსებმა ტყვედ წაიყვანეს 7 ოფიცერი და 500 დაუჭრელი ჯარის კაცი და ხელთ იგდეს ერთი ზარბაზანი და 7 ტყვიისმფრქვეველი. რუსებს დარჩათ დიდძალი დაჭრილები, რომელთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული. დუშენის რაიონში სოფლებ ხორუპანისა ტ გოლოვიჩის დასაფლობად მეტად ცხარე ბრძოლა გაიმართა. ერთის მოქნევით რუსებმა წამოიყვანეს 30 ოფიცერი და 1,600-მდე უბრალო ჯარისკაცი. ხელთ-იგდეს აგრედვე გერმანელების ერთი ტყვიისმფრქვეველი. გერმანელებმა არტილერიის ქარიშხალური ცეცხლი გააჩაღეს და ისე წამოვიდნენ იერიშით. რუსები იძულებული გახდნენ ხელახლა დაწეულიყვნენ მდ. იკვისაკენ. გალიციის მოსაზღვრე რაიონში, ახალ ოლექსინეცთან რუსებზედ ზედიზედ მოიტანეს მოწინააღმდეგეებმა იერიში. მხნე კონტრშეტევის წყალობით რუსებმა ადგილიდან მოსწყვიტეს მოპირდაპირენი, ტყვედ სამი ათასზედ მეტი ჯარისკაცები წამოიყვანეს და ოთხი ტყვიის მფრქვეველიც ხელთ იგდეს. ტრემბოვილის სამხრეთ-დასავლეთით, ს. დობროპოლის მიდამოებში რუსის ცხენოსანთა რაზმმა იერიში მიიტანა მოპირდაპირე ზე და გააქცია; დადევნების დროს რუსებმა ბლომად აკუწეს მოპირდაპირენი, დაატყვევეს 500 კაცი და 17 ოფიცერი, ხელთ იგდეს ორი ტყვიის მფრქვეველი.

შენიშვნა. დამატებითი ცნობების მიხედვით ლუცკის რაიონში რუსებს დაუტყვევებიათ 128 ოფიცერი და 6600 ჯარისკაცი. წინდაწინი გამოანგარიშებით ნავარაუდევი იყო 80 ოფიცერი და 4,000 ჯარისკაცი.

პეტროგრადი, 13 ენკ. ოფიციალი. დვინის პოზიციებზე რაოდენიმე სიწყნარეა. ტყვეთა ჩვენებით უკანასკნელ ბრძოლის დროს გერმანელები დიდად დაზარალებულან. გუშინდელ ბრძოლაში სოფ. დროსვიატისთან გერმანელები უკუქცეულ იქმნენ. მდ. ვილიის რაიონში, ვილეიკის ზემოდ, სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სოფელი ნესტერკი რუსებმა აიღეს. ვილეიკის რაიონში გერმანელებმა მთელი რიგი იერიშები მოიტანეს, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქმნენ. ვილეიკის ჩრდილო-დასავლეთით რუსებმა ხიშტით შეუტიეს გამაგრებულ სოფ. ოსტროვს და უკან დაიბრუნეს სოფ. გირი. სმორგონის ფრონტზე და მის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. სოფ. ლაზდუნის რაიონში, დაბა ივიეს აღმოსავლეთით, გერმანელებმა ძლიერი არტილერიით დაუშინეს. გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობა სოფ. ბოდგურიესთან, ნოვოგრუდკის აღმოსავლეთით, საბოლოოდ ძლეული იქმნა, რა წამს რუსებმა ხიშტით შეუტიეს. ტყვედ წამოყვანილია 4 ოფიცერი და 92 ჯარისკაცი. ფრიად მძაფრი ბრძოლა იყო გაჩაღებული გუშინ მთელი დღის განმავლობაში მარსინის რაიონში, აგრედვე ნოვოგრუდკის აღმოსავლეთით. ვოლვარკის თხრილები ხელიდან ხელში გადადიოდა. მარსინის რაოდენამდე სამხრეთით გერმანელები გამოჰბრეკეს სოფ. სტაროე კოლჩიციდან. ტყვედ წამოიყვანეს 600 გერმანელი, ტყვიისმფრქვეველი და ორი გატენილი ყუთი. მის სამხრეთით კიდევ ერთი სოფელი აიღეს რუსებმა. სტრუბენზე გერმანელები გადარეკილ იქმნენ მდინარის მეორე ნაპირებზე. მათ ველზედ დასტოვეს მრავალი დაჭრილი და იარაღი. სტატიჩეკოსთან, პინსკის სამხრეთით, გერმანელებმა ხიდი დასწვეს. პრიპიატის სამხრეთით გალიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. უკანასკნელ ბრძოლების დროს რუსებმა ხიშტის ხმარებაში დიდი უნარი გამოიჩინეს. მეორე მხრით აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელები ტყვეთა რიცხვს აღარ აზვიადებენ, არც თუ რუსთა გამარჯვებას ჰმალავენ, ხანდახან შეგნებით დამარცხების მნიშვნელობას ამცირებენ ხოლმე.

პეტროგრადი, 14 სექ. ოფიციალი. ქალ. ეკაუსთან გერმანელთა იერიში მოგერებულ იქმნა რუსების საარტილერიო ცეცხლით. გერმანელები მთელს რიგის რაიონში სხვადასხვა ადგილას აძლიერებენ საარტილერიო ცეცხლს. შლოკის რაიონში რუსთა ზარბაზნებმა არა ერთხელ გაჰრეკეს გერმანელთა მფრინავები. დვინის რაიონში კვლავ ძველებური სიმკაცრით მოჰყვნენ ცეცხლის ფრქვევას. ნოვოალექსანდროვსკისკენ გერმანელთა მრავალი იერიშები მოგერებულ იქმნა. დოლგინოვის რაიონში რუსთა ცხენოსანი ჯარი სწრაფი იერიშით შეიჭრა გერმანელთა რაზმებში და ტყვედ წამოიყვანა 65 ჯარისკაცი, ექვსი აფიცერითურთ და 3 ტყვიისმფრქვეველით. ასამდე ჯარისკაცი ასჩეხეს. რუსთა ზარალი ფრიად

მცირეა. ვილეიკეს დასავლეთით უკიდურესი ბრძოლა ასტყდა. გერმანელთა 4 იერიში ზედიზედ მოგერებულ იქმნა, მაგრამ ახალი იერიშით რუსები საბოლოოდ შევიწროებული იქმნენ. ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. მთელ კვირის განმავლობაში რუსთა ერთმა არმიამ 13 ზარბაზანი წამოიღო, ამათში რამდენიმე მძიმეა, 33 ტყვისმფრქვეველი, 12 გატენილი ყუთი და ორი უვნებელი ჯარისკაცი. ობთინის რაიონის აღმოსავლეთით და პრიპიტის რაიონის სამხრეთით ყოველგან ბრძოლაა. ორთავე მხრით მეტად მძაფრად იბრძვიან. ზოგიერთგან გერმანელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მათი გამარჯვება მეტად მდარია, რასაც არ ძალუძს დიდი რამ გავლენა იქონიოს ბრძოლის მსვლელობაზე. რუსებმა ყველაზე მარჯვედ წაიწიეს ა) დაბა დელიატიჩთან ნემანზე, სადაც გერმანელებმა უკან დაიხიეს; ბ) სად. ბარანოვიჩთან გერმანელთა იერიშების მოგერება; გ) ს. ლაბუზთან ავსტრიელთა ბათალიონის განადგურება მდ. შარზე, სადაც ნაწილი ასჩეხეს და 364 კაცის ორი აფიცრითურთ ტყვედ წამოიყვანეს. აქ მტერი მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდა; დ) ელეზინის აღება. აქ ბრძოლამ უსასტიკეს მწვერვალამდე მიაღწია. ცეცხლ მოდებულ სახლის გამო იბრძოდა ორივე მხარე. სოფელი აიღეს რუსებმა და მტერიც მოსპობილ იქმნა. ტყვედ წამოიყვანეს 2 კაცი და 4 ტყვიისმფრქვეველი. სტრიის მარცხენა ნაპირზე კოველ-სარნის რკინიგზის გაყოლებით რამდენიმე შეჯახება მოხდა. მოსაზღვრე გალიციის რაიონში სასტიკი ბრძოლა განახლდა ოლექსინცესთან. ავსტრიელთ მაშველი ჯარები მოუვიდათ და რუსებიც იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მაგრამ რუსები თავის მხრით ხიშტით ეკვეთნენ, მრავალი ასჩეხეს და ათასზე მეტი ჯარისკაცი წამოიყვანეს ტყვედ. სექტემბრის პირველ ხანებში გამოჩნდა, თუ რა შესძლებია რუსის ჯარს გათამამებულ მტრის წინაშე. მამაცობის მხრივ რუსის ჯარები ადამიანობის საზღვარსა სცილდებიან. ამისივე მაგალითს იძლევიან მოკავშირენი. ეს-ეს არის ახალი ამბები გვაუწყებენ, რომ ორი დღის განმავლობაში ფრანგებმა და ინგლისელებმა ტყვედ წამოიყვანეს 20 ათასი უვნებელი ჯარისკაცი და 24 ზარბაზანიც დავლად დარჩათ.

უკანასკნელი სიტყვა

მკითხველი ალბად გაკვირვებულია, რომ გამწვავებული მდგომარეობა ჩვენსა და „სახალხო ფურცლის“ შუა ერთი მხრივ და ბ-ნ გოგიჩაიშვილისა და ადამაშვილის შორის მეორეს მხრით უცებ განელდა და მოისპო. რომ ყოველი გაუგებრობა და ეჭვი გაიფანტოს, მოკლედ გაგაცნობთ ყველაფერს.

ბ-ნ გოგიჩაიშვილის ყოვლად შეუწყნარებელ საქციელს, როდესაც იგი **ჩვენის სახელით** არიგებდა მოწოდებას და **ჩვენს ბეჭედს** ასვამდა თავის კერძო სურვილს, —ბუნებრივად მოჰყვა არა ნაკლებ უმზაესი ფილიპიკა „Pro domo sua“, რითაც მან გაუგებარი ღვარძლისა და ბოროტების ნაყოფი შეუსაბამო რამ ცილი დაგვწამა და უზომო შეურაცხყოფა მოაყენა მთელს რედაქციას, რა არის ბრალდების ცენტრის სიმძიმე და მთელი ყურადღება სულ სხვა საგანზე გადმოეტანა და მით ეხსნა თავისი სახელი გაშავებისაგან.

მკითხველს ეხსომება, რომ ჩვენ ყოველგვარ საშუალებას მივმართეთ სრული სიმართლის გამოსარკვევად და მოვითხოვეთ დაკმაყოფილება, მაგრამ არც „სახალხო ფურცელი“ გამოგვყვა ჩვენ და არც ბ-ნი გოგიჩაიშვილი—ადამაშვილს. სამაგიეროდ ჩვენს რედაქციაში მოვიდა ვიღაც სამი უცნობი პირი და „ეროვნულ ნიადაგზე მდგარ მუშების“ სახელით მუქარა შემოგვითვალა: თუ სახალხოელებს აუტეხეთ რამე, პასუხს ჩვენ გაგვცემთო. ამ უტიფარმა განცხადებამ და უკანა კარების პოლიტიკით მწვავე საკითხის მიფუჩეჩებამ, უკიდურესობამდე ააღელვა ჩვენი სინიდისი და არ ვიცით, რა ფორმებს მიიღებდა კონფლიქტი, რომ გარეშე მესამე პირები და ჯგუფები არ ჩარეულიყვნენ საქმეში. მაგრამ ჩვენ არ ვინდომეთ ასე შინაურულად ორიოდ პირის წინ, როგორც იტყვიან tètiâ tète, მთელი კონფლიქტის გაშუქება, რაიც ვიწრო ფარგალშივე ჩაიხშობოდა და ფართო საზოგადოება მოკლებული იქნებოდა სინამდვილის გაგებას. აი, ამიტომ იყო, რომ მესამე პირის ჩამორევა ჩვენი სურვილის აღსრულებად დავინახეთ. ს. დემოკრატიული პრესა ერთ მხრით და მეორეთი ბ-ნ ვასილი ყიფიანის მეთაურობით ფართო ჯგუფის სურვილი, რომ მოკლე ხანში საჯარო სამართალი გამართულიყო, რათა ობიექტურად გამორკვეულიყო საქმე,—ჩვენ გვახარებდა, მით უმეტეს, რომ გავიგეთ, აქ მონაწილეობას მიიღებდა ჩვენი კულტურული საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მაგრამ მოვსტყუვდით. „სახალხო ფურცლის“ წარმომადგენლებმა უარი სთქვეს საჯარო სამართალზე, ბ-ნმა ფ. გოგიჩაიშვილმაც **უარი განაცხადა** ადამაშვილთან სამართალში გამოსვლაზე. დაგვრჩენია ერთი: ინციდენტი დასრულებულად ჩაითვალოს. ჩვენ ვგმობთ ასეთს უტიფრო გამოსვლას, როგორიც ჩაიდინა გოგიჩაიშვილმა და „სახალხო ფურცელმა“ და ვუცხადებთ: ვისაც არც სამართლით და არც სხვა საშუალებით თავისივე სიტყვის დაცვა არ შეუძლიან, იმას ანგარიშს ვერ გაუწევს თვის ღირსების დამცველი ვერც პრესა და ვერც ადამიანი.

„საქართველოს“ რედაქცია.

ახალი ამბავი

მეფის მოადგილე, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჩამობრძანდება თბილისში 24 სექტემბერს.

— გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი ბორჯომიდან ჩამოვა თბილისს დღეს, დილის 10 საათზე. 11 საათზე იგი ინახულებს სამხედრო წოდების წარმომადგენელთ, ხოლო ნაშუადღევის 4 საათზე სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელთ. 17 სექტემბერს, დილის 11 საათიდან, წარუდგებიან გრაფს ქალაქებისა და წოდებათა წარმომადგენელნი. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა გუშინ საგანგებო ბარათებით სთხოვა ქალაქის საბჭოს ხმოსნებს, რომ 17 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ჩემს კაბინეთში გამოცხადდით, საიდანაც ჩემის მეთაურობით წახვალთ გრაფის სანახავადო. დღეს მოელიან ქალაქ ალექსანდროპოლის თვითმართველობის წარმომადგენელთ, რომელნიც გრაფს წარუდგებიან გამოსამშვიდობებლად. 18 სექტემბერს, დღის 12 საათ. 45 წუთ., გრაფი ვორონცოვ-დაშკოვის საგანგებო მატარებელი დაიძვრის თბილისის სადგურიდან. ქალაქის კამგეობა აკეთებს სასახლესთან და ვოგზალთან თაღებს, რომელშიაც გაივლის გრაფი. თაღები შემკული იქნება ვენზელებითა და ცოცხალ ყვავილებით. 19 სექტემბერს გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი მთელი დღე ბაქოში დარჩება, საცა იგი საპატიო მოქალაქედ არის არჩეული და ბაქოს ქალაქის გამგეობა ადრესს მიართმევს მას.

ახალი მინისტრი. სამხედრო მინისტრად დაინიშნა სამხედრო სამინისტროს გამგე ინფანტერიის გენერალი პოლივანოვი.

— ბ-ნ იანუშკევიჩის ჩამოსვლა. 13 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, თბილისში მოვიდა მეფის მოადგილის თანაშემწე ინფანტერიის გენერალი ნ. ნ. იანუშკევიჩი. სადგურზე მას მიეგებნენ კავკასიის მხედრობათა შტაბის უფროსი გენერალი ბალახოვიტინოვი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი ს. ვ. ვოლსკი, თბილისის კომენდანტი გენერალი ჩირკოვი და თბილისის გუბერნატორი ბ-ნი სტრახოვსკი.

— წერა-კითხვის საზოგადოებაში. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის მიერ კავკავში გაგზავნილი, იქაურ განყოფილების მოქმედების სარევიზიოდ, გ. ლასხიშვილი და ვ. ბურჯანაძე უკვე დაბრუნდნენ თბილისში. როგორც იმათ გადმოგვცეს, კავკავის განყოფილების საქმეები წესიერად მიდის. განყოფილების გამგეობის ახალი შემადგენლობა არჩეულია და იგი დიდის ენერგიით მუშაობს სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლად. რევიზორებს კავკავიდან გამოუვლიათ ბაქოში, საცა დაუარსებიათ საზოგადოების სკოლა და იქაურ განყოფილების საქმეებს გასცნობიან. სკოლაში გაკვეთილებს ყველა განყოფილებაში დასწრებიან და სწავლა-აღზრდის საქმე სამაგალითო მდგომარეობაში უნახავთ. განყოფილების გამგეობისა და მასწავლებლებისათვის დიდი მადლობა გამოუცხადებიათ რევიზორებს.

— თავადაზნაურთა კრება. 24 სექტ. შესდგა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც უნდა აერჩია ამომრჩევლები სხვა გუბერნიების ამომრჩევლებთან ერთად სახელმწიფო საბჭოს წევრების ასარჩევად. კრებაზე კანდიდატების დასახელებამ დიდი დრო მოითხოვა, ასე რომ ამომრჩევლების არჩევა ვერ მოასწრეს და არჩევნები შემდეგისათვის გადიდო.

— სეზონის დაწყება. სომეხთა დრამატიულ საზოგადოების მსახიობთა დასი ორშაბათს, 21 სექტემბერს, იწყებს სეზონს. წარმოდგენების გასამართად დათმობილი აქვთ არტისტიულ საზოგადოების თეატრი.

— საგურამოს მამულის დათვალიერება. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თხოვნით ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საგანგებო კომისია გაგზავნა საგურამოში იღია ჭავჭავაძისეული მამულის დასათვალიერებლად. კომისიის წევრები არიან ვ. ი. რცხილაძე, პ. მელია და ს. ყაზახიშვილი. კომისიამ დაათვალიერა მამული და თბილისს დაბრუნდა. კომისია მოხსენებას წარუდგენს საზოგადოებას ხსენებულ მამულის მოვლა-პატრონობისა და მოსალოდნელ შემოსავალ-გასავლის შესახებ. წერა-კითხვის საზოგადოებას აზრად აქვს, მამულის შემოსავალი გაადიდოს და კომისიის მოხსენებით იხელმძღვანელოს, უნაკლულოდ თუ იქნა იგი შემუშავებული.

— ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოების წევრთა კრება. 12 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, გ. თ. ყორდანიას თავმჯდომარეობით, შესდგა კრება ქართულ კულტურის მოყვარულ საზოგადოების წევრთა. პირველად კრებამ ფეხზედ ადგომით პატივი სცა საზოგადოების საპატიო წევრის ვაჟა-ფშაველას ხსოვნას. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, ვაჟა-ფშაველას სახელობაზე გააშენოს წაღვერში აგარაკი დაუძლურებულ ქართველ მწერალთათვის, და ამ აგარაკის მოწყობა მიანდოს ბ-ნს მიხეილ მურმანიშვილს. ამის შემდეგ საზოგადოების წევრი ბ-ნი იპოლიტე ვერთაგავა შეუდგა თავისის რეფერატს კითხვას ვაჟა-ფშაველას პოეზიის შესახებ. წაკითხულ იქმნა რეფერატის პირველი ნახევარი. რეფერატი პირველად შეეხო ბუნების აღწერას ვაჟას პოეზიაში, მეორე ნაწილში მშვენივრად დაასურათხატა პირადი გრძნობა და განცდა პოეტისა თავის პოეზიაში და მესამე ნაწილში საუცხოოდ აღწერა ძველ გმირთა ტიპები დიდებულ პოეტისა. ლექტორი დაჯილდოვებულ იქმნა ტაშითა და „ვაშას“ ძახილით. რეფერატის კითხვას შემდეგ კრებაზე განაგრძობს ავტორი.

— ხოლერა. 12, 13 და 14 სექტემბერს ქალაქის ლოზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 15 და ხოლერის ნიშნებით 3 კაცი. გარდაიცვალა 15 კაცი. გუშინ ლოზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 164 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი.

— გადამდები სენი. 15 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 42, ქუნთრუშიანი 39, საოფლიანი 31, ხუნაგიანი 28, მუცელაიანი 5 და ყვავილიანი 2 კაცი.

— ყურძნის ქურდობა. ყურძნის საერთო მოუსავლობამ მთელს თბილისის გუბერნიაში ყურძნის ქურდობა გამოიწვია სოფლებში. რაღა თაქმა უნდა, ჰპარავენ იმათ, ვისაც დიდის შრომითა და ხარჯით ცოტაოდენი ყურძნის მოსავალი აქვთ. ქურდობას ვერ ასცდნენ მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის სანერგენიც. ამ დღეებში ქურდებს სანახევროდ დაუკრეფიათ მემამულე ყარანგოზიშვილის ვენახი სოფ. საცხოვრში (ქართლი).

— დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი. თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარის კაცნი: გრიგოლია ალექსანდრეს ძე, ჩოხელი სიმონი, ფიცხელაური ივანე იოსების ძე, ბერიკაშვილი ივანე სიმონის ძე, ამაშუკელი ბესარიონ ანანიას ძე, ჩხეიძე ბესარიონ ესტატეს ძე, ჩიჩაზუა გერასიმე გიორგის ძე, სოიძე ივანე ეფრემის ძე, ღუდუშაური სერგი ლეონტის ძე, ფალიაშვილი ზაქრო ზურაბის ძე, ჩხიკვიშვილი ალექსანდრე, გიორგიძე გიორგი ფილიპეს ძე, ქომარიძე კასიანე მარკოზის ძე, გარელი სამუელ ამირანის ძე, კოჩაშვილი ნიკო ზაქარიას ძე, შალამბერიძე ალექსანდრე, ფხაკაძე ისიდორე გაბრიელის ძე, დავითუნიანი ივანე იოსების ძე, ვაზაგა მარკონ, თედორაძე აკაკი ივანესძე, თოდუა ნიკო ივანეს ძე, შენგელია პეტრე, ჭყონია მაქსიმე ფილიპესძე, სანხელაშვილი გიორგი ხარიტონის ძე, დვალიძე პორფილე რევაზის ძე, ნადირაძე ლეონტი ნიკოლოზის ძე, გვიშიანი ივანე პავლეს ძე, ნოდია ეპიფანე, ბეროგია მიხაკო კონსტანტინეს ძე, ხინთიბიძე რუბენ მაქსიმეს ძე, შიხიძე ანდრო ანდრიას ძე, კაროშიძე ივანე ალექსანდრეს ძე, თაზიაშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე, ურეშიძე ნესტორ იოსების ძე, კილახსეშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ლატარია ანდრო პავლეს ძე, მახარაძე ერასტი დარისპანის ძე, კონჩაშვილი სოლომონ ფილიპეს ძე, ხომეზერი ზაქრო გიორგის ძე, ჩაფიძე სერაფიონ, დოვლაშერიძე შიო სტეფანეს ძე, ნიშნიანიძე კოსტანტინე გიორგის ძე, ჩადუნელი ბაგრატ იოსების ძე, მელაძე ალექსანდრე მათეს ძე, ბუხრაშვილი ერასტი, დემეტრაშვილი სპირდონ გაბრიელის ძე, გელაშვილი ივანე პეტრეს ძე.

შეცდომის გასწორება

„საქართველოს“ მე-92 №-ში „სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ მესამე სვეტზე გვხვდება შემდეგი შეცდომა: მსაჯულთა დასჯა დანაშაულების შეგნების მიხედვით. უნდა იყოს დამნაშავეთა დასჯა... და სხვა. მეხუთე სვეტზე სწერია: „მომჩივარი იმდენად იძიებს შურს...“ უნდა იყოს „დაზარალებული იძიებს შურს“.

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(ხანდის-ხან)

14

იფ! ეხლა კი გვარიან ავვიგრილდა ამ ჩვენ ცხელეთია, თუ თბილისში; ძლივს სული მოვითქვით და მეც უმალ ხელი უნდა მოვკიდო ჩემს უმადურ საქმეს... დიახ, წელსაც ზაფხული „თბილათ“ გავატარეთ... ბედი კი რომ მქონოდა,—პატარძლისა არ იყოს, მეც... სადმე საგარაკოდ წავიდოდი, მაგრამ, ეტყობა, არც განგებას დაუკვებია ჩემთვის ბედი და იგი ვერც მე გამოვსჭედე საკუთარის უნარით,—როგორც თანამედროვე ტიპიურმა ქართველმა ინტელიგენტმა: მედგარ შრომა-საქმიანობას არ მოყვარულმა, ჯეროვან ნების ყოფას მოკლებულმა, უენერგიომ და „ყოვლად მთმენმა, ვით ჯორ-ცხენმა“... თავად რა ვიყავი და თბილისის სიცხემ ხომ მთლად მომადუნა: ვეგდე ერთთავად მუთაქასავით ტახტზედ გარინდული და ვიხარშებოდი საკუთარ (სირცხვილის კი არ გეგონოთ!) სიცხის ოფლში... თუ არ მეძინა და კარგ გუნებაზედაც ვიყავი,—ერთთავად ვღიღინებდი თანამედროვე ჩვენებურ ქალიშვილების, პოპულიარულ რომანს: „რომ არ მწყალობ, ცოდვა არ ვარ, რად არ გალობ,—არ გიყვარვარ!“ და სხ. ან თუ რა გასამტყუნარი ვიყავი, თქვენი ჭირიმეთ, აბა მიიხედ-მოიხედეთ გარშემო: ჩვენში იმათაც კი, ვისაც რისამე გაკეთების უნარი შესწევს,—ერთმანეთის კინკლაობაში აღამებენ... ესრეთმა „სისბლის წვიმების დრომაც“ კი და მომავალმა საფრთხემ არ ყოფისამ,—იმათაც, ჯერ აქნობამდე, ვერ მოუპოვა საერთო გეგმა შეგნებული მოქმედებისა... მე კი ვფიქრობ, რომ ისევ სჯობიან ჩემებურ—თათქარიძისებურად უზრუნველად კოტრიალი, ვიდრე ჩვენ ზოგიერთ მესვეურთა „საქმიანობა“?! ეტყობა დრომ მოიტანა, რომ ეხლა ნაძრახი სიცოცხლე გვირჩევნია; იმდენად მოუცვია მონურ სულს მთლად ჩვენი არსებობა, რომ „უაპეკუნოთ“, უძიძაოთ, ფეხზე დგომა ვერ შეგვძლებია და მთელი ცხოვრება გვეპარება „თვალსა და ხელს შუა“... ყოველის მხრიდან ჩვენსკენ მოისწრაფიან წამლეკი, გამანადგურებელი ტალღები... ჩვენს გარშემო კი იმდენი განსაცვიფრებელი ამბები ხდება, რომ კაცმა არ იცის რომელ ერთს ანგარიში გაუწიოს... პირადად მე კი ჯერ მშიერ-მწყურვალი არა ვარ და „უტკივარი თავი რად ავიტკიო?!“ და, როგორც თანამედროვე, ნამდვილი, უზრუნველი ქართველი, „სულ-ერთია“-ს პოლიტიკის მიმდევარი ღირსეული მემკვიდრე ღირსეულ პაპაჩემ ლუარსაბისა და ამასთანავე თბილისის „ორმაგ“ სიცხისაგან გამოთაყვანებული, როგორც მოგახსენეთ, მთელი ზაფხული ტახტზე ვკოტრიალებდი და თანამედროვე გაუმეორებელ ისტორიულ მომენტს შევყურებდი პირდაღებული,—აი სწორედ ისრევე, როგორადაც „ჩვენი“ წარმომადგენელნი ჩვენს საზოგადო ბედის წერას...

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ხანდისხან ეჭვიც კი შეგბლეფბ ხოლმე: ჩვენ, როგორც ერი, ...

ნეტავი ჩვენი დეპუტატები არაფერს გვიშველის?“ დაამთავრა ამოოხვრით მოხუცმა, რომელსაც სამი ვაჟი ომში ჰყოლია გაყვანილი...

სოფ. ჯ.—ში ჩვენ მეტად სამწუხარო მოვლენათა მოწამენი გავხდით. ერთმა პირახვეულმა დედაკაცმა იარმარკაში გასასყიდად გამოტანილი ებრაელების საქონელი მოიპარა, მხოლოდ, როდესაც დაიჭირეს და გამოჰკითხეს, მან განაცხადა: „რა ვქნა, ოთხი ბავშვი და ერთი სნეული მოხუცი მამამთილი მყავს სარჩენი, ქმარი ომშია, გამიჭირდა და ყველაფერი კი გავბედეო“. ასეთი მოვლენები შიგა სოფლებში კიდევ აღუნუსხველია. იმავე სოფელში დედა ქალები წისქვილზე შეყრილიყვნენ, რიცხვით 9, 7 მათგანი შავებში გამოწყობილი, და დაობდნენ, თუ როგორ გაეყოთ ერთი ბათმანი სიმინდის ფქვილი. აუწერელი საცოდაობა იდგა, როდესაც ყველანი თითო მუჭა ფქვილს იხვეწებოდნენ. ზაფხულში გაჩენილი ავადმყოფობა, სნეულება უპატრონობის გამო, ბავშვებს ზამთარში მიჰყვება და ყველამ უწყის ზამთრობით მათი გამკაცრება, რომელიც არა ორს და სამს იმსხვერპლებს. კიდევ მრავალი რამ იყო სათქმელი ქვემო იმერეთის სოფლების უნუგეშო მდგომარეობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვართ, მის ხვალინდელ უბედურ მომავალს, ჩვენი გულშემატკივარნი მაღლა მოყვანილი სტრიქონებიდანაც ადვილად გაეცნობიან.

ი. იმერელი.

რუსეთის ცხოვრება

მინსკი. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ქალაქის უძრავ ქონების საწინდარის ქვეშ გამოსცეს 100,000 მან. ბონები.

ბარკი მეფესთან. რუსეთის ფინანსთა მინისტრი ბარკი წარუდგა ინგლისის მეფეს.

ჩვიდმეტი მილიონი ერობათა კავშირს. მინისტრთა საბჭომ გასცა საერობო კავშირზე შვიდი მილიონი მან. დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთათვის კარვებისა და სამკურნალო დაწესებულებათა ასაგებად ხარკოვის, ტამბოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის, სარატოვის, სიმბირსკის, სამარის და პერმის გუბერნიათა და დონის ოლქში. ამგვარივე საჭიროებისათვის ამ სექტემბერში 8 მილიონი მანეთი მიეცემა იმავე საერობო კავშირს.

ვარშავის უნივერსიტეტი დონისრ ოსტოვში. ვარშავის უნივერსიტეტი, რომელიც მოსკოვში გადაიტანეს, საბოლოდ დონის როსტოვში გადმოაქვთ.

ჩვენი ცხოვრება

ძ. გორი. ნეტარ ხსენებულ გაზეთ „ქართლის“ 29 ნომერში სწერია: „გორის ქალაქის რწმუნებულთა კრებამ დაადგინა: 1) სობოროს ქუჩას დაერქვას აკაკი წერეთლის ქუჩა და ქუჩის წარწერის ფიცრებზედ აღინიშნოს აკაკის დაბადების და სიკვდილის დრო ასე: „ქუჩა აკაკი წერეთლისა, მგოსანი დაიბადა საჩხერეში 1840 წ. გარდაიცვალა 1915 წელს“. დიაღ! აი ეს დაადგინეს გორის, ქალაქის მამებმა და ყველა სიხარულით მიეგება ამ ამბავს. თქვენ რომ გაიაროთ ეხლა „სობოროს ქუჩაზე“ შეხვდებით წარწერას, მაგრამ იმ წარწერას კი არა, როგორიც დაადგინეს გორის მამებმა, არა, ფარნებზე ისევ ისე სწერია: „სობოროს ქუჩა. რას უნდა მიეწეროს ესეთი უყურადღებობა? გარდაიცვალა ისეთი დიდებული ადამიანი, როგორიც იყო აკაკი, გორის მამებმა დაადგინეს, უკვდავ ეყოთ აკაკის სახელი იმით, რომ ქუჩისთვის გამოეცვალათ სახელი, და ეს დადგენილება აქამდის (მას შემდეგ გავიდა უკვე 5 თვე) არ მოუყვანიათ სისრულეში. როგორ მოგწონთ მამების ასეთი საქციელი? იმედია, ქ. გორის მამები მიაქცევენ ყურადღებას ამ მოვლენას, და სისრულეში მოიყვანენ ზემოხსენებულ დადგენილებას.

ეხლა მეორე. დიდი ხანია რაც ჩვენ გორში ლაპარაკობდნენ, სახალხო უნივერსიტეტზე, დიაღ! უნივერსიტეტზე. იმართებოდა წარმოდგენები, სეირნობა, კითხულობდნენ ლექციებს და აფიშაზე ეწერა: „გორის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ“. ეხლა არ იკითხავთ, არსებობს, თუ არა გორში უნივერსიტეტი! როგორ არა. რომ გამოხვიდეთ საქალაქო ბაღიდან, და გაიხედოთ ჩრდილოეთისკენ, თქვენ დაინახავთ... ნაგვით სავსე ალაგს და „ზაბორს“. აი ეს არის გორის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც კითხულობენ ლექციებს, ადამიანები კი არა, არამედ ქვეწარმავალნი, სახელდობრ... ბაყაყები. რომ მოგიხდეთ გავლა ამ ალაგას ღამის 8—9 საათზე, თქვენ დაინახავთ მოზრდილ ბაყაყს, რომელიც ზის ქვაზე და თავისებურ ლექციას კითხულობს, სხვებიც ბანს აძლევენ. აი, ვიმეორებ, გორის სახალხო უნივერსიტეტი.

ელი.

—

სოფ. ერედვი (გორის მაზრა) ეს სოფელი მდებარეობს ქ. გორის ჩრდილოეთით 28 ვერსის მანძილზე. იგი შეფენილია მცხეთის-ჯვრის მთის ფერდობზედ და შეიცავს 200 მეტ კომლს. მცხოვრებნი სულ ქართველები არიან. ამ სოფელს სახნავ-სათესი ბლომად აქვს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ურწყავია, მოსავალი ნაყოფიერი და შრომის დამაკმაყოფილებელი იცის.

სოფ. ერედვში გლეხების გარდა სცხოვრობენ თავადებიც გვარად ფავლენიშვილები. საკვირველია, რომ აქნობამდის ვერ უთავნიათ და თავიანთ მეცადინეობით სკოლა არ დაუარსებიათ ამოდონა სოფელში; მადლობა ღმერთს, ეხლა ზოგიერთს გამოუჩენია უნარი და აპირობენ ერთ-კლასიან სამინისტრო სკოლის დაარსებას.

სოფელი რამდენიმე უბნათაა გაყოფილი. აღსანიშნავია ამ სოფლის საყდარი; რომელსაც ირგვლივ მაღალი გალავანი არტყია ქვითკირის კოშკებით. საყდარი ნაშენია თლილის ქვისაგან, ზოგან-კი კედელი სიპი-ქვისაა. ერედვის საყდრის გეგმა ჰგავს უფლის-ციხის ეკლესიისას; იგი უგუმბათოა და მთავარ ეკლესიას ირგვლივ მოსდევს დერეფანი. ეკლესიას ჩუქურთმები თუმცა აქვს მაგრამ ღარიბი და ტლანქია. დერეფნის სამხრეთის კარებში მარჯვენა მხარეზე არის სვეტი ჩუქურთმებიანი ზედ-წარწერით; წარწერა ასომთავრულია და ჯერ არავის წაუკითხავს. სვეტის თავზე ჩამოქანდაკებული არის ძუძუები. ხალხში რწმენაა, ვისაც ძროხა ცუდად ტ ნაკლებად უწველის, მან უნდა ამ ქვის ძუძუებს წაუსვას კარაქი ტ ძროხა წველას უმატებსო; ამიტომ ქალები კვლავ განაგრძობენ ამ ძუძუების კარაქით თითხნას, რის გამოც იგი მთლად გაქონილია.

სოფ. ერედვში სცხოვრობს ტრიელაშვილი მაკრინე, 120 წლისა, იგი ჯერ კარგადა გრძნობს თავსა, მხედველობა და სმენა კარგი აქვს, კბილი არ აკლია. მას აცვია კაცურად და სახელსაც კაცისას უწოდებენ—გაბრიელს. აი ამის მიზეზი: მის დედ-მამას არა ჰყოლია მოზრდილი შვილი, გარდა მაკრინესი, რომლისთვისაც ჩაუცმევიათ ვაჟური ტანთსაცმელი და გაუყოლებიათ საქონლისთვის; ასე რამდენჯერმე და მაკრინე ისე შესჩვევია კაცის ტანთსაცმელს, რომ ეხლაც წლოვანობით საუკუნეზე გადაცილებულს აცვია ახალუხი, შალვარი, ფეხებზე პაიჭ-წინდა ქალამანი, ხურავს ნაბდის ქუდი და ასხია ფარაჯა.

სოს. .

—

ს. რუფოთი და **ტელეფა,** (შორაპნის მაზრა). ეს სოფლები მდებარეობენ დაბა ჩხარიდან ხუთი ვერსის მანძილზე და ძლიერ ეახლოვებიან ერთმანეთს. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფლებში ითვლება ოთხასამდე, რომლის უმრავლესობას გლეხები შეადგენენ. ბუნების მხრით ეს სოფლები ძლიერ დაჯილდოვებულნი არიან. ნიადაგი ნაყოფიერია. მოჰყავთ სიმინდი და პური. უმეტესად კი მევენახეობას მისდევენ, რადგან ვაზი უფრო კარგად ხარობს და კარგ ნაყოფსაც აძლევს აქაურ მუშა ხალხს.

აქ არსებობს ორი წვრილი სავაჭრო დუქანი, ორივე ძლიერ უწყობენ ხელს აქაურ მცხოვრებლებს და აშორებენ მათ შორს სავაჭროდ წასვლას. ეს სოფლები სწავლა-განათლების მხრით ძლიერ დაბლა სდგას სხვა სოფლებზე. ამ სოფლების ერთად-ერთ კულტურულ წყაროს შეადგენს მარტოდ ერთი პირველ დაწყებითი სკოლა, სადაც ყოველ წელიწადს სწავლობს არა ზედმეტ ოთხმოცი მოსწავლისა. თვით ეს სკოლის შენობა ძლიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული როგორც მოძღვარ-მასწავლებლისაგან, ისე თვით ხალხისაგან. წარმოიდგინეთ ამ ორ ვეებერთელა სოფელში არსებობს ერთად-ერთი სკოლა და ისიც ვერაა კარგს ნიადაგზე დაყენებული. პირდაპირ გული მიკვდება და სული მეხუთება, როდესაც თვალწინ მიდგია ამ სკოლის შენობის სურათი: სახურავი დამპალი, ფანჯრები ჩალეწილი, კარები მუდამ ღია, შიგნით იატაკზე მუხლამდე მტვერი, გეგონებათ არას დროს არ დაუგვიათო, პარტები ჭუჭყიანი და იგიც დამტვრეული, წიგნებით სავსე ვეებერთელა შკაფი მოღიავებულია და სხ.

ბევრჯერ მითქვამს ხალხისთვის ამ სკოლის გაუმჯობესობის შესახებ, მაგრამ სჩანს, ჩემი თქმა, თქმად დარჩა და მის გაუმჯობესებას სრულიად არ დაეძებენ და რჩებიან ისევ თერჯოლის სკოლის შემყურე, სადაც მათთვის სწავლა შეუძლებელი ხდება სიშორის გამო. როგორც ხმები დადის, ამ ბოლო დროს ორივე სოფელს სურთ შეერთდნენ და საერთო ძალით დაარსონ ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, სადაც უნდა ასწავლონ ორივე სქესის მოზარდ ბავშვებს, მაგრამ ახლანდელ ომისაგან და სიმშილისაგან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა აქაურმა მცოვრებლებმა შესაძლოდ ვერ სცნეს ეს საქმე სისრულეში მოეყვანათ. ჯერ მხოლოდ თხოვნას გზავნიან. აქ მათ სურთ აღნიშნონ საღარიბე და სთხოვონ ამ მომავალი სკოლის სახელმწიფო ფულით აგებას. ეს დიდად სასიამოვნო იქნებოდა ყველასათვის, მაგრამ როგორც სჩანს ამ თხოვნის შესახებაც არავინ ზრუნავს, და როგორც ეტყობა სწავლის საქმე ამ სოფლებში ისევ ძველ კალაპოტში ამოიხრჩობა.

შალვა რუფოთელი.

დეპეშები

ლონდონი, 13 სექტ. გარდაიცვალა ცნობილი სოციალისტი კეიგარდი.

პარიზი, უკანასკნელმა კვირამ წყნარად ჩაირა დარდანელში. ნახევარ-კუნძულის ორსავე ზონაში. ოსმალები შეეცადნენ ნაღმითი იერიში მიეტანათ ფრანგებზე, მაგრამ ფრანგებმა კონტრნაღმებით დაანგრიეს მათი ნაღმის გალერეა. ტყვეების სიტყვით ოსმალთ დაკარგვიათ ორი ოფიცერი და 13 ჯარისკაცი. ფრანგები ენერგიულად ესროდნენ ოსმალთა დიდ ყალიბის ბატარეას, რომელიც აზიის ნაპირზეა გამართული.

პეტროგრადი, რომ შვება მიეცათ რკინის გზებისათვის, მინისტრთა საბჭომ უფლება მიანიჭა გზათა მინისტრს გასცეს ბრძანება, რომ საჯაროდ გაყიდულ იქმნას ყველა გრუზი, რომელიც ექვს თვეზე მეტია რაც აწყვია სადგურებს, უკვე თუ ამ გრუზის პატრონები, დღიდან სათანადო გაფრთხილებისა, ორ კვირის განმავლობაში თავიანთ საქონელს არ გაზიდვენ.

ათინა. გამოაცხადეს საალყო წესები ფლორინის, სოლუნის, სერესის და კოვალის ოლქში. მთელს საბერძნეთში ორი თვით მორატორიუმი იქმნა გამოცხადებული.

სტოკჰოლმი. სტოკჰოლმში გერმანიის მთავრობამ დაარსა სპეციალი საგენტო, რომელმაც პამფლეტები უნდა დაუგზავნოს შეთანხმების სახელმწიფოთა ქვეშევრდომებსა და მისიებს.

პარიზი, 13 სექტ. საღამოს ცნობა. ფრანგების იერიში არასის ჩრდილოეთით კარგად წავიდა შემდეგშიაც. ფრანგებმა იერიშით აიღეს სოფ. სუმე და აღმოსავლეთის მიმართულებით ჟივანშისაკენ წინ წაიწიეს, შემდეგ სამხრეთისკენაც ლაფორას მიაღწიეს, ტელოუსის ჩრდილოეთით დანგრეულ ტელეგრაფამდე მივიდნენ და ხელთ იგდეს 1000 გერმანელი ჯარისკაცი. შამპანში ფრანგების ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ, და სძლიეს რაც რამ სანგარი და შემაერთებელი გვირაბები და საველე სიმაგრეები იყო აგებული ობერიესა და ვიოსიურ-ტურბს შორის გამართულ ფრონტზე. ფრანგებმა წინ წაიწიეს ჩრდილოეთისკენ და გერმანელები გადარეკეს მეორე ხაზის სიმაგრეებზე, რომელიც სამი-ოთხი კილომეტრით იყო დაშორებული. ბრძოლა სწარმოებს მთელ ხაზის გასწვრივ. ფრანგებმა გაიარეს ლოკადონი, რომელიც მდებარეობს სუენიდან სემპზე მიმავალ გზაზედ, გაიარეს აგრეედვე კარვები, რომელიც სუენ-ტელის გზაზედ იყო გამართული და მიაღწიეს ეპინდე-ვედგრანჟამდე. უფრო აღმოსავლეთით ფრანგებმა დაიჭირეს მეზონ-დეშამპანის ფერმა. ამ ბრძოლების განმავლობაში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და განთავისუფლებულ ადგილებზე დასტოვეს დიდ ძალი სამხედრო სურსათი, რომლის რაოდენობა სავსებით ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, ცნობებია მოსული რომ ფრანგებმა ხელთ იგდეს 24 საველე ზარბაზანი. ტყვეთა რიცხვი უფრო და უფრო მატულობს და აღემატება 17.000 დაუჭრელ კაცს, რომელთა შორის 200 ოფიცერია. ამნაირად მთელ ფრონტზე ორი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარებმა 20.000 მეტი ტყვე, სრულიად საღი გერმანელი ხელთ ჩაიგდეს.

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი:

10 აგვისტოდან—10 სექტემბრამდე ქ. ოლღა ხოფერიასაგან 58 მან. 76 კაპ. („ძმ. სიტყვის“ გაყიდვით ახალსენაკში.) ა. ს. ლორთქიფანიძისაგან წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 10 მან. გ. ს. ვაშაკიძისაგან („ძმური სიტყვის“ ბორჯომიდან) 97 მან., ი. ა. ურუშაძისაგან („ძმური სიტყვის“ ბაკურიანიდან) 24 მან., ბ. ზაქ. ქიტიაშვილისაგან, („ძმ. სიტყვის“ გორიდან) 253 მან. და 3 კაპ., ი. ჯორჯაძისაგან (სადილის დროს შეგროვილი) 8 მან., წ. კ. საზ. ზუგდიდის განყოფილების ი. ოსიძისაგან („ძმური სიტყვის“) 28 მან. 75 კაპ., წ. კ. ლი. ხაურის განყოფილებისაგან („ძმური სიტყვის“) 17 მან. 5 კაპ., ქ. ეკატერინე ვასილის ასულის ბახტაძისაგან („ძმური სიტყვის“ ხონიდან) 44 მან. და 98 კაპ., ეპისკოპოზ კირიონისაგან 100 მან., მღვდელ ნასყიდაშვილისაგან 10 მანეთი, ს. მარტყოფის სამკითხველოს თავმჯდომარისაგან გ. კანდელაკისაგან („ძმური სიტყვის“) 4 მან., ბალაჯარის სამხატვრო წრისაგან (მიხეილ მარიამიძის ხელით) („ძმური სიტყვის“) 5 მან., ეპისკოპოზ დავითისაგან აჭარლების და წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 100 მან., კნ. თამარა გიორგის ასულის ჩქოტუასაგან ზუგდიდის მაზრის დაზარალებულთათვის 25 მან., კნ. თამარა გიორგის ასულის ჩქოტუასაგან ქუთაისის გუბერნიის დაზარალებულთათვის 25 მანეთი, თევ. კვირიკაძისაგან (წ.. კ საზ. ხელით არდაგანში შეგროვილი) 14 მან. 52 კ., ქ. ტიპი გელოვანისაგან („ძმ. სიტყვის“ ცაგერიდან) 6 მან., გ. თ. ჟორდანიასაგან („საქ. რედაქ. ხელით“ („ძმური სიტყვის“ წაღვერიდან) 12 მან. 47 კაპ., საქართველოს ეგზარხოს პიტირიმისაგან წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის 100 მან., ვლ. გულისაშვილისაგან (ეკ. ლორთქფანიძის ხელით „ძმ. სიტ.“) 48 მან. 31 კაპ., ეპ. ბაქრაძისაგან 1 მ., ივ. ლ. პაატაშვილისაგან („ძმური სიტ.“ თელავიდან) 79 მან. 13 კაპ., წ. კ. საზ. დუშეთის განყოფილების თავმჯდომარის—მღ. ნიკო კანდელაკისაგან („ძმ. სიტყვის“) 35 მან., ივ. ნიკ. ყაზბეგისაგან 50 მან., ბ. ლად. ჩანჩიბაძისაგან („ძმ. სიტყვის“) 9 მან. და 25 კაპ., იასონ მერ. ლორთქიფანიძისაგან („ძმური სიტყვის“) კავკავიდან 76 მან., ბ. ბ. გალაქტიონ ბარბაქაძისა და გიორგი სულთანიშვილისაგან ტრამვაის მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 118 მან. და 75 კაპ., ჯაბარგაბან რლლისაგან 50 მ., ივ. გ. დურგლიშვილისაგან 3 მან., დარჩო ი. ეშმონოვისაგან 5 მან., ალ. ვარვარიძისაგან 1 მან., თ. ი. ი. მაჩაბლისაგან 3 მან., სააქციონერო საზოგადოებისაგან 1 მან., დ. ვლასოვისაგან 2 მან., ვლ. ხელაშვილისაგან 3 მან., დიმ. ავს. ნაღებოვისაგან 3 მან., საზოგადოება „ფილმისაგან“ 1 მან., ივ. პ. ფალიაშვილისაგან 3 მან., ქ. ეკატერინე გაბაშვილისაგან („ძმ. სიტყვის“) 12 მან. 40 კ. სულ 1612 მან. 40 კაპ.

ქარ. საქ. საზ. გამგეობა განმეორებით სთხოვს ყველა იმათ, ვინც „ძმური სიტყვა“ დაიკვეთა, რაც შეიძლება მალე გაასწორონ ანგარიში.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, 12 სექტემბრის „საქართველო“-ში ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა ექ. კობერიძის თხოვნის გამო—ვითომ ჩემი ცნობა სამედ. სასამართლოს **შესახებ, სწორედ არ იყოს გადმოცემული** და მე უფლება არა მქონდა განაჩენი გამომექვეყნებინა.

უნდა მოგახსენოთ, რომ 1) ჩემი ცნობა სიტყვა-სიტყვით არის ამოწერილი ოქმიდან. ვისაც არა სჯერა, შეადაროს. 2) ნება მქონდა მისი გამოქვეყნების, როგორც საზ. ცხოვრების მეთვალყურეს. მით უმეტეს ოქმში არ არის რაიმე დადგენილება, რომელიც უარჰყოფდეს განაჩენების პრესაში გამომქღავნებას, არც თუ დრო არის დანიშნული—როდის უნდა გამოქვეყნებულიყო.

სანგანიძე.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიიღო აკაკის სახელობის ხალხურ სიტყვიერების ფონდისათვის:

1) ჭიათურის უმაღლეს დაწყებით ქალთა სკოლის მოწაფეებში შეგროვილი 6 მან. და 20 კ.; 2) ბაქოს ქართველ ქალთა წრისაგან 4 მ. და 50 კ.; 3) წ.-კ. საზოგადოების ხონის განყოფილებისაგან 8 ივნისის საღამოს წმინდა შემოსავალი 53 მან. და 28 კაპ.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხაზინადარი

ირ. სონღულაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რ ინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან . . .	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან . .	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან. .	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან .	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან .	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საადგარ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ . .	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ . .	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ . .	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ .	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ალეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, ვაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ **ხიზილალა,** აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადაროულია სამხედრო ცენზორისაგან